2021 წლის 10 აგვისტოდან 30 აგვისტომდე თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საზღვრის და საზღვრისპირა ძეგლებისა და ნაშთების ადგილზე მოსანახულებლად და მათი დღევანდელი მდგომარეობის დასაფიქსირებლად, სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდნენ ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი **ხათუნა ქოქრაშვილი** და მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი **ირინა არაბიძე.** ექსპედიცია განხორციელდა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის - "საქართველოს საზღვრები", ერთ-ერთი მიმართულების - „საქართველოს საზღვრები XIX-XXI საუკუნეებში", 2021 წლის საკვლევი თემატიკით განსაზღვრული თემების შესასრულებლად.